ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება N სშ/19-155

ქ. ბათუმი 2019 წელი

ერთის მხრივ **შპს „სანდასუფთავება“** (შემდგომში ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით დუმბაძის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „თეგეტა მოტორსი“** (შემდგომში ,,მიმწოდებელი”), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ავთანდილ წერეთლის მინდობილი (N016 გაცემული 03.01.2019 წ) პირის ბათუმის ფილიალის დირექტორის პაატა დუმბაძის სახით, საქართველოს მთავრობის, 2011 წლის 21 იანვრის #26 დადგენილებისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის, პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის კუთვნილი ნაგავმზიდი სპეცავტომანქანა MAN TGL (სახ. ნომ. CG380CG, ვინ–კოდი WMAN05ZZ9KY389863) ზეთის და სხვადასხვა სახის ფილტრების (შემდგომში–საქონელი) შეძენა და შეცვლა, კერძოდ:

CPV34300000, CPV50100000

დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	მთლიანი ღირებულება
სათადარიგო ნაწილები და სახარჯი მასალები			
ფილტრი ზეთის Hengst E172HD35 ; MAN	1 ც	48	48
ფილტრი საწვავის E422KPD98 MAN	1 ც	98	98
ფილტრი საწვავის ტუმბოს E11S03D65	1 ც	12	12
ფილტრი ჰაერის E811L ; MAN	1 ც	248	248
ფილტრი სალონის E954LI ; MAN	1 ც	89	89
ზეთი SHELL RIMULA R6 LM 10W40 (Spec	17 ლ	18	306
სამუშაოს ჩამონათვალი			
ძრავის ზეთის და ფილტრის შეცვლა	1	30	30
საწვავის ფილტრის შეცვლა	1	15	15
ჰაერის ფილტრის მ/დ	1	10	10
სალონის ფილტრის შეცვლა	1	10	10
სავალი ნაწილის და ძარის შეზეთვა 1წ.	1	24	24
საწვავის ტუმბოს ფილტრის მ/დ	1	15	15

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **905** (ცხრაას ხუთი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვასთან და თანმდევი მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს დღგ-ს ჩათვლით.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის წარმოდგენიდან და მიღება–ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის და მომსახურების მიღება–ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირია შპს ,,სანდასუფთავების“ მატერიალურ ფასეულობათა მართვის სამსახურის უფროსი.

5. მხარეთა უფლება–მოვალეობები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 10 დღის ვადაში განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება და მომსახურების გაწევა.

5.2. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის და მისი თანმდევი მომსახურების ხარისხსა და დროულობაზე.

5.3. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას მოწოდებული საქონლის და გაწეული მომსახურების ღირებულება.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

6.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

6.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

6.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1. დაუძლეველი ძალის პირობების გარდა, მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიუწოდებელი საქნლის და გასაწევი მომსახურების ღირებულების 0.02 % ოდენობით.

7.2 თუ ვადაგადაცილება ხელშეკრულებით განსაზღვრულ, საქონლის მიწოდების ვადას 10 დღით გადააჭარბებს, მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. ასეთ შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 % ოდენობით.

8. დაუძლეველი ძალა

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

9.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

10. გამოყენებული სამართალი

10.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

11. ხელშეკრულების ენა

11.1. ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2019 წლის 1 ნოემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
შპს ,,სანდასუფთავება“	შპს ,,თეგეტა მოტორსი“
მის: ქ. ბათუმი,	მის: ქ. თბილისი,
ჯავახიშვილის ქუჩა #55	დავით აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კმ #5
ს/კოდი 245548153	ს/კოდი: 202177205
სს ,,საქართველოს ბანკი“	სს ,,თიბისი ბანკი“
ბ/კოდი: BAGAGE22	ბ/კოდი: TBCBGE22
ა/ა GE57BG0000000524452400	ა/ა GE80TB0600000024467853
შპს ,,სანდასუფთავება“	შპს ,,თეგეტა მოტორსი“
დირექტორი	ბათუმის ფილიალის დირექტორი
დავით დუმბაძე	პაატა დუმბაძე

Tegeta Motors LLC
2019.09.12 11:31:44
+04'00'

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად შპს „სანდასუფთავების“ დირექტორი დავით დუმბაძე და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი დავით დევაძე, ვადასტურებთ, რომ შპს ,,თეგეტა მოტორსი“–სთან, გაფომებული შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება #ს/შ19-155, ჩემი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

შპს „სანდასუფთავება“-ს დირექტორი:

დავით დუმბაძე

შპს „სანდასუფთავება“-ს მატერიალური

რესურსების მართვის სამსახურის უფროსი

დავით დევაძე Davit Devadze

Подписано цифровой подписью: Davit Devadze
Дата: 2019.09.13 11:35:01 +04'00'